№ 250 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მან. ოთხშაბათი 5 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით, № ყველგან 1 მან. საგაზეთო განცხადებანი დადგენილი ნიხრლებით კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ოთხშაბათს ნოემბრის 5-ს მ. ი. ალეშკოს, სარაჯიშვილის, ინაშვილის, დემიანენკოს, კურბატოვის, ეზროვის, ქურხულის მონაწილეობით

ტოსკა

ხუთშაბათს, ნოემბრის 6-ს „ტრავიატა“. პარასკევს ნოემბრის 7 ს ალეშკოს მონაწილეობით „ტრუბადური“. შაბათს, ნოემბრის 8, ოპერა მუშებისათვის „ურიის ქალი“ კვირას—ნოემბერის 9, „ჰოფმანის ზღაპრები“.

79 1—1

ანონსი.

ტფილისის არტისტიული თეატრი

ოთხშაბათს გიორგობისთვის 12-ს 1919 წ. საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის დრამატიულ სტუდიის წარმოდგენა

1. ჰანელე ჰაუპტმანისა

2. რომანტიკოსნი.

ედ. როსტანისა.

შემდეგ ავგარიზი. რეჟისორი მ. ქორელი.

ქართველ მხატვართა საზოგადოების შემოდგომის გამოფენა.

1. **ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა საერთო გამოფენას.**
2. გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3. გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაიწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების სადგომში (რუსთაველის პრ. № 13). ნოემბრის 4—10 მდე 5 საათ. 7 საათამდე.
   ა) კომისიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4. გამოფენისთვის სურათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15-მდე დღის 12 ს.—2 საათ.
5. ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
   ა) განსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.

გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **შ. ჭიქოძე.**
მდივანი **დ. შევარდნაძე.**

7—2

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების

საეკსპლოატაციო ნაწილი ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 29 ოქტომბერს ამა 1919 წ. გზათა მინისტრის განკარგულებით გაიხსნა დროებითი მოძრაობა სადაურებ **ახალ ხენაკისა და ხეთას შუა.** დღეში ივლის ორი წყვილი სახალხო მატარებლები მეორე და მესამე კლასის ვაგონებით. შემოღებულია დროებითი ტარიფი: მესამე კლასის ვაგონში მთელ მანძილზედ 10 მანეთი, მეორე კლასის ვაგონში 15 მანეთი; ბარგზედ ფუთზედ 3 მან. ყველა დამატებითი გადასახადები და მათ შორის წითელი ჯვრის სასარგებლოთაც უკვე შეტანილია აღნიშნულ ფასებში. ცნობები საქონლის მიმოზიდვის შესახებ გამოცხადებული იქნება შემდეგში.

72 72 3—2

ოფიციალური განყოფილება.

გრძანება

№ 238.

მთავარ საბჭოს და რესპუბლიკის ყველა საბჭოებისადმი.

რესპუბლიკის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით კიდევ თხოულობს ყოველ მოქალაქესაგან მსხვერპლს.

ჩვენ ახლა ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია მაქსიმუმი ენერგია დახარჯოს არსებულ წესწყობილების დასაცავად და თავისუფლების გასამტკიცებლად.

საბედნიეროდ მოქალაქეთა უმრავლესობას მართლაც იშვიათის შეგნებით და სიმამაცით მიაქვს ყოველგვარი მსხვერპლი თავისუფლების ტრაპეზზე და გამსჭვალული არის ჩვენი აწინდელი მდგომარეობით.

ამას თხოულობს თავისუფლებისა და დემოკრატიულ რესპუბლიკის სიყვარული.

ამავე დროს სამწუხაროდ, ემჩნევა, რომ ჯერ ჩვენში კიდევ არ აღმოფხვრილა სავსებით მეტოდი და სული ძველი კანცელიარების და „ჩინოვნიკურ“ ტრადიციებისა.

ბევრ მოხელეს ავიწყდება, სამწუხაროთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩვენ ყველანი ვართ აღმასრულებელნი და მსახურნი ხალხის და კანონის და არა ბრძანებელნი. კერძოთ, საბჭო უწყებაში ვერ ვაჩნევ, რომ მთელი მოხელეობა გამსჭვალული იყოს ასეთის შეხედულებით.

ამაში, სხვათა შორის, მარწმუნებს მე ხშირი საჩივრები საბჭოს მოხელეთა შესახებ, მაშინ როცა სწორედ საბჭოს მოხელენი განსაკუთრებით უნდა იცავდნენ პრესტიჟს და ღირსებას რესპუბლიკისას, რადგან იმათი მოქმედებით რესპუბლიკის საზღვარზედვე ეცნობა ყოველი უცხოელი ჩვენს წყობილების და სახელმწიფოებრივი აპარატის საქმიანობას.

იძულებული ვარ ერთხელ კიდევ მოვაგონოთ, რომ საბჭოს მოხელე უნდა აღიჭურვოს განსაკუთრებულის ზრდილობით, იგი უნდა იყოს მტკიცე აღმასრულებელი რესპუბლიკის კანონებისა და უმაღლესად პატიოსანი ამ სიტყვის ყოველგვარ მნიშვნელობით.

როგორც საქმეების გაცნობამ, ისე პირადი რევიზიამ დამარწმუნა ზოგიერთ მოხელეების არა საკადრის დამამცირებელ საქციელში, რამაც გამოიწვია მრავალ მოხელეთა სამსახურიდან გამორიცხვა, ხოლო ბევრის პასუხისგებაში მიცემაც (ზოგან საბჭოს მთელი შემადგენლობის გადაყენებაც.)

საბჭოს მოხელეთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩემ მიერ ყოველ გვარი ზომებია მიღებული და ახლო მომავალში მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნება.

მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად მოვითხოვ საბჭოს მოხელეებისაგან ზრდილობას და თავაზიან მოპყრობას მგზავრებთან, ენერგიულ მუშაობას, საბჭო კანონების მტკიცე ასრულებას და განსაკუთრებით პატიოსნობას.

სახელმძღვანელოთ მიიჩნიოს ყველამ, რომ მოთხოვნა კანონის სასტიკათ დაცვისა, რაიცა მოვალეობაა ყველა მოქალაქის, სრულებით არ ნიშნავს მოქალაქესთან უდიერათ მოქცევას ან იმის თვითნებურ შევიწროებასა. ერთნაირად სასტიკი პასუხისგება მოეთხოვება ყოველ მოხელეს, როგორც კანონის დარღვევისათვის, ისე კანონიერების ნიღაბ ქვეშ დაშვებულ თვითნებობისა და მგზავრებთან უზრდელათ მოქცევისათვის.

კვლავ მივაქცევ უფროსების ყურადღებას აღნიშნულ გარემოებას, მოვსთხოვ მათ სასტიკ პასუხს აღნიშნულ მოთხოვნილებათა დარღვევისათვის და ამასთანავე ვიმედოვნებ, რომ თვით შეგნებული ნაწილი მოხელეებისა ეცდებიან შეჰქმნან ისეთი პირობები, რომ იძულებული არ შევიქმნე უფრო სასტიკ ზომებს მივმართო.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინისტრი **კ. კანდელაკი.**

სანაპირო ჯარებისადმი № 121.

ვაცხადებ რა ცნობებს ამა წლის აგვისტოსა და სექტემბერს დაჭერილ კონტრაბანდის შესახებ ჩემდამი რწმუნებულ ჯარის ნაწილებში, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ სანაპირო მეთვალყურეობაში სექტემბრის განმავლობაში სანაპირო ჯარის მ.ახურთ გამოიჩინეს გაცილებით მეტი უნარი და ნაყოფიერი შრომა ვიდრე გასულ თვეს, ამ მხრივ აღსანიშნავია პირადი მონაწილეობა შემდეგი ოფიცრებისა:

1-ლი სოხუმის განყოფილების უფროსის ლეიტენანტი გოგალაშვილისა.

2-რე ფოთის რაზმის ლეიტენანტი ფალავასი და ქორქაშვილისა, უფროს ლეიტენანტი პოლიაკოვისა და კაპიტანი ჩაჩუასი.

3-მე ახალციხის განყოფილების კაპიტანი გუდკოვისა.

4 ხე შულავრის განყოფილების კაპიტან ლეჟავასი და ლეიტენანტი გრიგოლიასი.

5-თე სიღნაღის რაზმის კაპიტანი წულუკიძისა, ლეიტენანტი მიქელაძისა დ შარაშიძისა, კაპიტანი კუპრაშვილისა და უფროს ლეიტენანტი გვასალიასი.

6-სე დარიალის რაზმში ლეიტენანტი ჩხეიძისა.

აღნუსხვილობა კონტრაბანდის დაჭერისა აგვისტოში და ენკენისთვეში

სახელწოდება რაზმისა	დაჭერილია კონტრაბანდა: სანაპირო რაზმის ხარისხოსანთა მიერ: რიცხვი: დაჭერილისა	ამოღებისა	დაჭერილია საზღვრის დამცველ ფეხი	შეფასებით ლირს: მან.	კ.	გარეშე ხარისხოვანთა მიერ: რიცხვი: დაჭერილისა	ამოღებისა	დაჭერილია საზღვრის დამცველ ფეხი	შეფასებით ლირს: მ.	კ.	ჯამი: მ.	კ.
აგვისტოში												
1. სოხუმის	ცრობები არ არის											
2. ფოთის	9	—	14	8346	—							
3. ახალციხის . . .	ცნობები არ არის											
4. შულავერის . . .	—	—	—	—	—							
5. სიღნაღის	1	—	2	500	—							
6. დარიალის . . .	3	—	5	5734	—							
სულ.	13	—	21	14580	—							
სექტემბერში												
1. სოხუმის	1	—	—	525	—							
2. ფოთის	16	—	26	8544	60							
3. ახალციხის . . .	1	—	2	6462	50							
4. შულავრის . . .	13	—	13	54103	40							
5. სიღნაღის	15	—	19	49299	—							
6. დარიალის . . .	2	—	3	2250	—							
სულ.	48	—	53	121184	50							

ვაცხადებ რა ამას გამოვსთქვამ სურვილს და ვიმედოვნებ, რომ ჩემდამი რწმუნებული ჯარის მსახურნი გაიორკეცებენ თავიანთ შრომას და ყოველ ნაირათ ეცდებიან სახელმწიფო საზღვრების ფხიზლათ დაცვას.

გენერალი **ახმეტელაშვილი.**
შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **მუსხელიშვილი.**

შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრისა ყველა დაწესებულებათა და უწყებების უფროსების მიმართ.

4 გიორგობისთვე 1919 წ. № 201.

რესპუბლიკის სამაზრო ერობების გამგეობათა და მილიციის უფროსებისაგან ამ უკანასკნელად ხშირად ვღებულობ შუამდგომლობებს, რათა მილიციელები, რომელიც არიან დაბადებული 1899 წ. და რომელთაც უწევთ სამხედრო ბეგრის მოხდა ამა ნოემბრის თუთხმეტში,—იყვნენ განთავისუფლებული ამ უკანასკნელი მოვალეობისაგან, რადგან ისინ ფაქტიურად იხდიან სამხედრო სამსახურზე არა ნაკლებ ბეგარას რესპუბლიკის მდგომარეობის გასამტკიცებლად. ვინაიდან ამგვარ შუამდგომლობათა დაკმაყოფილება სავსებით ეწინააღმდეგება კანონს და ის მხოლოდ ზიანს მოუტანს რესპუბლიკას, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველა სამხედრო ასაკის ახალგაზრდა ვალდებულია მოიხადოს ვალი სახელმწიფოს წინაშე და არავითარ გამონაკლის ამ საქმეში ადგილი არ ექნება.

ამიტომ მივაქცევ რა სამაზრო ერობათა გამგეობებისა და დაწესებულებათა უფროსების ყურადღებას ჩემი ამა წლის 22 ოქტომბრის № 200 ბრძანებას („საქართველოს რესპუბლიკა“ № 240), წინადადებას ვაძლევ აღნიშნულ გამგეობებს და უფროსებს, ეხლავე მიიღონ სასტიკი და სასწრაფო ზომები ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

განკარგულებანი

4.

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორისა.

ქეთევან პეტრეს ასული წულუკიძე დანიშნულ იქმნას სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის კანცელარიის მოხელედ 25 ოქტომბრიდან 1919 წ.

პროკურორი **ა. გელეზარაშვილი.**

—

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.

21 ოქტომბერი, 1919 წ., № 75.

დაინიშნოს: ფოთის სახელოსნო სკოლის სპეციალურ საგნების მასწავლებელი ნიკ. მეიშვილი ამავე სასწავლებლის პრაქტიკულ მეცადინეობის ხელმძღვანელად.

გადაყვანილ იქმნას: ხონის სახელოსნო სასწავლებლის სახელოსნოების გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ლავრენტი კაკაბაძე—ფოთის სახელოსნო სკოლის სპეციალურ საგნების მასწავლებლად.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობის აღსრულებიდან ხონის სახელოსნო სასწავლებლის მართველი გრიგოლ სოგლობოვი ამავე სასწავლებლის სახელოსნოების გამგედ დატოვებით;

დაინიშნოს: ხონის სახელოსნო სასწავლებლის მართველის თანამდებობის აღმასრულებლად ბაქოს საშუალო სასწავლებელ კურს დამთავრებული ვლადიმერ ჩაჩავა.

ყველანი 1919 წლის 20 ოქტომბრიდან.

23 ოქტომბერი, 1919 წ. № 76.

ჩაეთვალოს: ზუგდიდის ქალ ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს მელქისედეგ ისიდორეს ძე კობახიძეს ნამსახური წლები ხუთწლეულებისა და პენსიის მისაღებად 1913 წლის 1 სექტემბრიდან 1918 წლის 1 სექტემბრამდე.

77.

მიენიჭოს: საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება: 1. ლანჩხუთის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს ნიკოლოზ წილოსანს მათემატიკაში, 2. ქუთაისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს აღექსანდრე თორაძეს ფრანგულ ენაში, 3. ზუგდიდის ქალ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს ნოე ნადარეიშვილს მათემატიკაში, 4. ტფილისის თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მასწავლებელს სიმონ ყაუხჩიშვილს ქართულ ენაში და საქართველოს ისტორიაში, 5. ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს მიხეილ მეძმარიაშვილს მათემატიკაში, 6. ბათუმის გიმნაზიის მასწავლებელს ლიდია ანტონ ნატროშვილის ასულს რუსულ ენაში, 6. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს დავით კალანდარიშვილს გეოგრაფია და ბუნების მეტყველებაში, 8. ქუთაისის გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს მარიამ ორახელაშვილისას ფრანგულ ენაში, 9. სამტრედიის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს სოლომონ ლორთქიფანიძეს ქართულ ენაში, და საქართველოს ისტორიაში, 10. ფოთის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს იოსებ ხათრიძეს მათემატიკაში, 11. გორის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს გ. აბულაძეს ბუნების მეტყველებაში, 12. ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის მასწავლებელს ანნა სიხარულიძეს ქართულ ენაში. 13. ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელს კონსტანტინე კიკაჩეიშვილს ფრანგულ ენაში, 14. თელავის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს გიორგი გიორგიძეს ისტორიაში, 15. ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელს ვახტანგ კოტეტიშვილს ქართულ ენაში, 16. ხონის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს ვალ. კაკაბაძეს მათემატიკაში, 17. ხონის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს გ. სალარაძეს გეოგრაფიაში და ბუნების-მეტყველებაში.

ხსენებული მასწავლებლები დამტკიცდენ თავიანთ თანამდებობაზე მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგი
ცინცაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

საგარეო საქ. სამინისტროში

გენ. კორრის განცხადების გამო.

ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიში მიესალმა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს და იხსენიებს, რა მის მემორანდუმს № 18 ოქტომბრის 21 დან, აუწყებს, რომ შავი ზღვის არმიის მთავარსარდალმა ალბად იცის, რომ გენ. კორის სევასტოპოლში არ გაუკეთებია არავითარი ისეთი განცხადება, რომელიც მას მიაწერა ტფილისის პრესამ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა არაფერი იცის იმ პროკლამაციის შესახებ, რომელიც ვითომ პოლკ. რალნდსონს გამოუშვია და ფიქრობს, რომ ეს ცნობა უსაფუძვლოა.

ბ ნ უარდროპს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ზემო აღნიშნული გამოქვეყნდეს პრესაში, თუ ამას ე. გეგეჭკორი სასურველად სცნობს.

ვ. მურრის დეპეშა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა მიიღო ამერიკის პოლიტიკურ საინფორმაციო მისიის ვ. კ. მურრისგან:

„ვტოვებთ რა ჩემდა სამწუხაროთ საქართველოს, ერთხელ კიდევ მსურს მადლობა გადმოვუცხადო ჩემდამი გამოჩენილ ყურადღებისთვის და ვუსურვო საქართველოს ყოველივე კარგი.

ვ. კ. მურრი.

საქართველოს და სომხეთის ხელშეკრულება სადავო საკითხების შესახებ

I) ქალაქ ტფილისი. 1919 წლის ნოემბრის 3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა—შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის ნოე ბესარიონის ძე რამიშვილის და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენის ძე მდივანის სახით,—ერთის მხრით და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა—სტეფანე გრიგორის ძე მამიკონიანისა და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის სახით—მეორეს მხრით, გაეცნენ რა რწმუნებებს და ჰპოვეს რა იგი სათანადო ფორმაში და სახეში, სდებენ ამა ხელშეკრულებას შესახებ ქვემო ამისა: 1) წესდება თავისუფალი ტრანზიტი, ე. ი. უბაჟო ტრანზიტი სომხეთის რკინის გზებზე სომხეთის საზღვრებს იქიდან საქართველოში ან საქართველოდან სომხეთში მიმავალ საქოლნისა და აგრეთვე საქართველოს რკინის გზებზე საქართველოდან სომხეთში, ან სომხეთიდან საქართველოში მიმავალ საქოლნისა.

2). ხელშეკრულება ეს იკვრება 3 წლის ვადით, და ამასთანავე, დღიდან დადასტურებისა ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შემკვრელ თითოეულ მხარეს უფლება ენიჭება განაცხაოოს სურვილი ხელშეკრულების გადასინჯვისა და ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში რჩება 6 თვის განმავლობაში დღიდან განცხადებისა. თუ ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაშინ ხელშეკრულება ძალას კარგავს.

3). ამ ხელშეკრულების დადასტურება უნდა მოხდეს 2 კვირის ვადაში ქალაქ ტფილისში.

საქართველოს სენატი

იუსტიციის მინისტრმა შემდეგი დეპეშები მიიღო:

გორიდან: მეხუთე სესია გორის ოლქის მოსამართლეთა ყრილობისა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სენატს და მის დღევანდელ პირველ გამოსვლას სიამოვნებით ეგებება იმ იმედით, რომ იგი აღადგენს, განამტკიცებს შებღალულს სამართალს და სიმართლეს და აღიყვანს მათ უზენაეს სისპეტაკეზე და მით აღასრულებს დიდი შოთას სიბრძნეს, ქმნაქმართლისა სამართლისა „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლათ“. 1086 მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ს. მგალობლიშვილი.

თელავიდან: თელავის მომრიგებელ მოსამართლეთა საოლქო პირველი ყრილობა გიძღვნით გულწრფელ სალამს და გისურვებთ ხანგრძლივ დგომას ფხიზელ და მედგარ დარაჯად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამართლიანობის განსამტკიცებლად და სასამართლოს ასაყვავებლად ყრილობა თავის მხრით მტკიცე აღთქმას სდებს თავგანწირვით ემსახუროს პირველ სამართლის დამყარებას და განმტკიცების უმწიკვლად და შეუღალავად დაიცვას მაღლა აღმართული დროშა სამართლიანობისა, არ გაამრუდოს სამართლის სასწორი მოვლენათა ზეგავლენით. ყრილობის მონდობილობით თავმჯდომარე ნიკო რაზმაძე.

მაჩვენებელი.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 7 ნოემბერს, 1919 წლ., დილის 10 საათზე, დანიშნულია განსახილველათ შემდეგი საქმეები:

1. საკასაციო საჩივარი ტფილისის მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი. ტფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. ნოემბრის 14 დადგენილ გადაწყვეტილებაზედ ხალილ აღა სულეიმან აღი ოღლი და იუსუფ აღი მამედ აღა ოღლი ქიამალოვებისა დასახელებულ სამმართველოსთან მამულის თაობაზედ ძიების გამო.

2. საკასაციო საჩივარი ფოთის ქალაქის გამგეობისა ტფილისის სასამართლო პალატის 19 7 წ. მაისის 17 დადგენილ გადაწყვეტილებაზედ მიხეილ კოტეს ძის გვიჩიას და ფოთის ქალაქის გამგეობის, როგორც მესამე პირის მოჩივრის მხარზედ მონაწილეობით „ლ. და ა. სბროიავაკას კავკასიის ტყის შემოზიდვის“ ამხანაგობასთან 4600 მან. ძიების გამო.

3. საკასაციო საჩივარი მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის ქუთაისისა, არშაკ მელქუმის ძის დანიელიანცის და მარიამ სტეფანეს ასულის მანველიანცისას ტფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. დეკემბრის 5 დადგენილ გადაწყვეტილებაზედ გერასიმე ავეტის ძის გასპაროვის კასატორებთან მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის და სხვა გაუქმების ძიების გამო.

4. საკასაციო საჩივარი მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ქუთაისში ტფილისის სასამართლო პალატის 1917 წლ. ნოემბრის 17 დადგენილ გადაწყვეტილებაზედ იოსებ ათანასეს ძის ქიქოძის კასატორებთან მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გაუქმების და საკუთრების უფლების აღიარების ძიების გამო.

5. საკასაციო საჩივარი ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორიისა ტფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. ოქტომბრის 20-ს დადგენილ გადაწყვეტილებაზედ ბორის მარკოვის ძის მაჩკოვსკის კასატორთან 6.985 მან. ძიების გამო.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 10 ნოემბერს დილის 10 საათზე, დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საკასაციო საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობისა ტფილისის სასამართლო პალატის 21—22 სექტემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ქალაქ ტფილისის გამგეობის ნიკიტა არტემის ძე ადამოვთან 14.900 მან. თაობაზე ძიების გამო.

2. საკასაციო საჩივარი სამხედრო უწყებისა ტფილისის სასამართლო პალატის 31 ოქტომბერს—7 ნოემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ქალაქ ფოთის გამგეობის კავკასიის სამხედრო ოლქის ბინათა მომარაგების სამმართველოსთან მამულზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე ძიების გამო.

3. საკასაციო საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობისა ტფილისის სასამართლო პალატის 12 ოქტომბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის ტფილისის სამხედრო საინჟენერო დისტანციასთან მამულის საკუთრების უფლებაზე ძიების გამო.

4. საკასაციო საჩივარი ალექსანდრე ლაზარის ძის ბილოვისა ტფილისის სასამართლო პალატის 22 სექტემბერს—2 ოქტომბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე მარიამ იოსების ასულის მილოვისას კასატორთან სარჩოს 48.800 მან. მიცემის თაობაზე ძიების გამო.

5. საკასაციო საჩივარი არაქელ ტერ-აირპეტიმნცისა და არტემა მაიმინდისა ტფილისის სასამართლო პალატის ივლისის 11 1918 წ. დ დგენილ. გადაწყვეტილებაზე ეფიმი აბრამის ძის ვოლფენზონის სიმონ მაიმინდთან და არაქელ ტერ არაპეტიანცთან 18 125 მან. ძიების გამო.

6. საკასაციო საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის სასამართლო პალატის 17 დეკემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე საბინა ოსოვსკისას კასატორთან 3.000 მ. თაობაზე ძიების გამო.

სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების

მოლვაწეთა ყრილობაზე ქართულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენის შესახებ.

ყველას კარგად მოეხსენება რამდენად ღარიბია ქართული სამეცნიერო და პოპულიარული ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო შინაარსის გამოცემებით. სპეციალურ სასოფლო სამეურნეო მწერლობის განვითარებას წინ მრავალნაირი დაბრკოლება ეღობებოდა და მათ შორის უმთავრესად ის განსაკუთრებული სოციალ პოლიტიკური პირობები, რომლებიც რუსეთის ბატონობამ ჩვენი ქვეყნისათვის შეჰქმნა. საქართველოს განახლებულმა

დამოუკიდებელმა არსებობამ ქართულ ენას ერთი მხრივ თავისი კანონიერი ადგილი მოუპოვა მშობლიურ სასწავლებლებში, მეორე მხრივ მონობისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას მის საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის ფართე ასპარეზი გადუშალა და მით შეუქმნა ისეთი პირობები, რომლის გამოისობით, როგორც განათლებულ საზოგადოებაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში, აგრეთვე ხალხის ფართო მასსაში ყოველნაირ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის დიდი მოთხოვნილება დაიბადა. სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი, სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან სამეცნიერო წიგნები, სახელმძღვანელოები და პოპულიარული ლიტერატურა აი რას მოითხოვს დაჟინებით ჩვენი ცხოვრების სინამდვილე! ყველა ეს აუცილებლად უნდა იყოს ჩვენ ბუნებრივ ეკონომიურ პირობებთან შეფარდებული და სასოფლო სამეურნეო მეცნიერების ეხლანდელ მდგომარეობაზე და უახლოეს გამოკვლევებზე აშენებული.

უკვე დაეტყო ერთგვარი გამოცოცხლება ამ დარგს; ამ საქმის გარშემო უკვე ნელ-ნელა ამოძრავდნენ ძალები. მოკლე ხანში რამდენიმე წიგნი გამოიცა. წინადაც გამოდიოდა თითო ოროლა პოპულიარული ბროშიურა და საფუძვლიანი წიგნიც; სასოფლო სამეურნეო ჟურნალების ისტორიამ ხომ თითქმის ნახევარ საუკუნესაც გადააცილა („გუთნის დედა" კერესელიძესი მესამოცე წლებში). და მანამ რაიმე ასლის შექმნას შევუდგებოდეთ, სასარგებლო და საჭიროც არის, სახელდახელოდ მაინც გადავავლოთ თვალი იმას თუ რა გაკეთებულა ამ დარგში და რა გვაქვს ამ ჟამად. ამ მოსაზრებით აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მომავალ ყრილობისთვის ქართულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა მოაწყოს. განზრახულია თავი მოუყარონ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქმნება, ყველა წიგნებს და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებს, რომლებიც კი როდისმე ქართულ ენაზე გამოცემულა. ბევრი მათგანი, შეიძლება მეტი წილიც, სულ აღარ მოიპოვება გასაყიდათ, მაგრამ დარჩენილი აქვთ ავტორებს, გამომცემლებს, კერძო პირებს და სხ. კომიტეტი მიმართავს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირთ ვისაც კი შეუძლიან რაიმე დახმარების აღმოჩენა, ხელი შეუწყოს ქართულ სამეურნეო წიგნების და ჟურნალების საკმაოდ სრულ კოლლექციის შედგენაში, როგორც თავის საკუთარ წიგნების გადმოცემით აგრეთვე ცნობების მიცემით იმის შესახებ, თუ სად და რანაირად მოხერხდება ზოგიერთ იშვიათ გამოცემათა შოვნა.

ვინაიდგან საორგანიზაციო კომიტეტი მატერიალურად ძალიან არის შეზღუდული და ყველა გამოცემათა შეძენას ვერ მოახერხებს, იმედოვნებს, რომ ბევრნი ამ კეთილ საქმისათვის წიგნებს უსასყიდლოთ დაუთმობენ. რაც შეეხება ზოგიერთ იშვიათ წიგნებს, რომელთაც პატრონი ვერც შემოსაწირად და ვერც გასაყიდათ ვერ გაიმეტებს, კომიტეტი დიდის მადლობით მიიღებს თავის სრულ პასუხისმგებლობით, თხოვებით, მხოლოდ გამოსაფენად და, ყრილობის დახურვის უმალ პატრონს დაუბრუნებს სრულად.

შეძენილი ან შემოწირული წიგნები განზრახულია შემდეგში ისევე სრულად მომავალ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქციას გადაეცეს.

წიგნების გადმოგზავნა შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე ან პირადათ გადაცემა კომიტეტის მდივნებისათვის გ. ფ. დეკანოზიშვილის ან გ. ტ. რცხილაძისათვის (მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილება).

ყოველ შემთხვევაში წერილობით ან პირადათ ცნობები ან თანხმობა წიგნების გადმოცემის შესახებ და კომიტეტი თვითონ მოიკითხავს საგანგებოდ გამოგზავნილ კაცის საშუალებით. (ამ პირს აუცილებლად თან უნდა ჰქონდეს კომიტეტისაგან მიცემული დავალების მოწმობა). საფოსტო ხარჯებსაც რა თქმა უნდა კომიტეტი კისრულობს სრულად.

დასასრულ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ საზოგადოების ფართო დახმარებით იგი შესძლებს ამ მეტად ძნელ საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

მუნიციპალური ცხოვრება.

საკალდებულო დადგენილება.

სახორცე პირუტყვის დაკვლისა და ხორცეულობით ვაჭრობის შესახებ. მიღებული სამტრედიის ქალ. ხაბჭის მიერ 15 სექტემბერს 1919 წ. სხდ. № 17 მუხლი მე-4 პუნქტი გ.

1) ყველა სახორცე პირუტყვი მსხვილი თუ წვრილი (ხარი, კამეჩი, ძროხა, თხა და სხვა) დაკვლის წინ უნდა გაისინჯოს დანიშნულ დროზე ქალაქის ბეითალ ექიმის მიერ და მხოლოდ მის ნებართვის შემდეგ შეიძლება დაკლულ იქნას ქალაქის სასაკლაოზე.

2) იმ სახორცე პირუტყვის დაკვლა, რომელსაც ექიმი იცნობს ავათმყოფათ, შეიძლება, თუ პატრონი თავს იდებს მის ხორცეულობის მიტანას განცალკევებულათ ხორცის გადასაზიდავ ეტლით მიკროსკოპიულ სადგურზე თუ უვარგისი აღმოჩნდება, პატრონი ვალდებულია თავის ხარჯით დასწვას და დამარხოს ქალაქის მიერ დანიშნულ ადგილზე ორი არშინის სიმაღლეზე.

3) სახორცე პირუტყვის დაკვლა სავალდებულოა ქალაქის ფარგალში სასაკლაოზე, ხოლო მისი აშენებამდე კი ქალაქის თვითმართველობის მიერ დანიშნულ ადგილზე.

4) დაკვლისა, გატყავებისა და შიგნეულობის გაწმენდის შემდეგ, მთელი ხორცეულობა თავფეხ შიგნეულობით (გული, ფილტვები, ღვიძლი ტყორპი. კუჭი, ფაში და წელები) და ტყავიანათ განსაზღვრულ დროს მიტანილი უნდა იქნას მიკროსკოპიული სადგურზე სასინჯ გამოსაკვლევათ, სადაც თვითეულ საღ ასოს რამოდენიმე გამოსაჩენ ადგილზე ბეჭედი ეკვრება შემდეგი წარწერით: „სამტრედიის ქალაქის მიკროსკოპიული სადგური. გასინჯულია—სავარგისია".

5) არა ქალაქის სასაკლაოზე დაკლული ხორცის ქალაქში შემოტანა და მითი ვაჭრობა სასტიკათ აკრძალულია, თუ ის არ იქნება ქალაქის მიკროსკოპიული სადგურის მიერ შემოწმებული და სათანადო ბეჭედ დასმული. ქალაქის სასაკლაოს გარეშე დაკლული პირუტყვის ხორცი არ გაისინჯება და გაყიდვის ნებართვა არ მიეცემა, თუ მასთან ერთად არ იქნება წარმოდგენილი შიგნეულობა (გული, ღვიძლი და ტყორპი) ასეთი ხორცი ცნობილი იქნება როგორც უვარგისი.

6) ავათმყოფ პირუტყვის სახორცეთ დაკვლა (შინაგან ავათმყოფობით, დაჭრილ დასახიჩრებულნი, დამტვრეულნი და სხვა) არ შეიძლება, სანამ ის არ იქნება გასინჯული ექიმ-ბეითალის მიერ ადგილობრივ, სადაც ისინი ავათმყოფობენ და არ აქვთ ბეითალ-ექიმისაგან სათანადო მოწმობა.

7) მიკროსკოპიული სადგურზე მიტანილ ხორცეულობის გასასინჯავათ პატრონი იხდის 2% ნიხრისას იმ საქონლის ხორცეულობაზე, რომელიც დაკლული იყო ქალაქის სასაკლაოზე და ორჯერ მეტს ე. ი. 4% გადასახადს, რომელიც ქალაქის სასაკლაოზე არ დაკლულა, ის კი ვინც შემოიტანს ქალაქში გასაყიდათ არა ყველა ნაწილებს დაკლულ სახორცე პირუტყვისას, არამედ ათი გირვანქაზე მეტს, იხდის როგორც მთელისას.

8) სალახები, ყასპები და მათი ნოქრები თავისუფალი უნდა იყვნენ კანის ან სხვა გადამდებ ავათმყოფობისაგან, ჩაცმული თეთრი სუფთა მოკლე ხალათში წინსაფარ აფარებული.

9) ხორცეულობის გადასაზიდავი ეტლები შიგნით თუთიათიევ (ცინკა) უნდა იყოს გამოკრული. შიგნეულობის მოსაწყობათ უნდა ქონდეს საკმაოთ დიდრონი თუთიათიევ გამოკრული ურჯრები თავისი თავსახურავებით. ხორცი უნდა იყოს დაფარეული გადაზიდვის დროს წმინდა ტილოებით. ხორცეულობის გადასასიდავი ეტლი ან ტაჭკა უნდა იყოს გარედან შეღებილი და ყოველ ხმარების შემდეგ ირეცხებოდეს. განსაკუთრებით ურჯრები უნდა ინახებოდეს ჯეროვანი სისუფთავით და სიფაქიზით.

10) დამრღვევნი ამა დადგენილებისა დასჯილნი იქნებიან სასჯელთა დებულების მე 29 სტ. რომელსაც ადგებს მომრიგებელი მოსამართლე.

11) ამა სავალდებულო დადგენილების თვალყურის დევნება ევალება ქალაქის მილიციას, სანიტარულ ექიმს, სავაჭრო მილიციას და საბეითლო განყოფილებას.

ერობა.

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა აპირობს ფართოთ მოაწყოს მაზრაში საფეიქრო სახელოსნოები. ამ დღეებში უკვე დაიწყო მუშაობა საგარეჯოსა და ნინოწმინდაში და ამ კოტა ხანშივე დაიწყობა მუშაობა პატარძეულში და ხაშმში. საფეიქრო სახელოსნოების გამგეთ მოწვეულია ქ ნ ანნა ანდრიას ასული კაპანაძე, რომელიც ამ საქმეში დახელოვნებულია; თანაშემწეთ თვითეულ სახელოსნოში მიღებული არიან ქ ნ კაპანასეს ნაშეგირდალები.

—

ტფილისის მაზრის ერობის ივრის თემი, სამაზრო ერობის დახმარებით იწყებს ნახშირის წარმოების ფართოდ დაყენებას. იმედი აქვთ ნახშირის ფასი ტფილისის ბაზარზე საგრძნობლად დასწიონ.

—

უკვე დაიწყო წესიერი მიმოსვლა ტფილისსა და ალბულაღს შუა (ფასი კაცის თავზე 200 მან.) ამ დღეებში დაიწყება აგრეთვე ტფილისსა და მანგლისს შუა (ფასი 200 მან.) ჩასაჯდომი ივლის კვირაში ორჯერ ტფილისიდან და ორჯერ ტფილისისკენ.

—

ტფილისის მაზრაში გადასახადების საქმე თანდათან ეწყობა. უკვე დაწყებულია გადასახადების აკრეფა და შემოტანა ერობის კასაში.

—

ერობის ინჟენრათ მოწვეულია ინჟენერი ირაკლი ბურჯნაძე, რომელიც 1 გიორგობისთვიდან უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

უცხოეთი

(საქართველოს დეპ. სააგენტო).

მოსკოვი, ნოემბრის 3, ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

ლიონი, ნოემბრის 1. ამჟამად საფრანგეთში დიდი სიმცირეა მარილის, რომელიც პარიზის მაღაროებში გაჭრა.

გერმანელებმა მოკავშირეთა ოფიცრების ზედამხედველობით დაიწყეს ბაზელის პირდაპირ მყოფ ციხე იშტეინის განიარაღება. ეს ციხე რეინი შვეიცარიის ნაპირებს ზედ დაჰყურებდა და ბაზელისთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა.

ნაუენი, ნოემბ. 2. გერმანიისა და ლიტვის შორის დაიდო ხელკრულება, რომლის ძალით დამყარებულია ნეიტრალური ზონა. სად. რაძვილიშკი, მის დაცლამდე დროებით გერმანელების ხელში რჩება. ორივე მხრით შეტაკების ასაცილებლად შესდგა შერეული კომისია.

პეტერბურგი, ნოემ. 3. წითელმა ჯარმა როპშა და ტატჩინო აიღო. ქ. ლუგის ამღებმა ჯარმა ქალაქის ჩრდილოეთით სადგ. პრეობრაჟენსკაია აიღო.

ნიკოლაევი, ნოემბ. 2 დონის რასტოვში ოქტ. 19 გაიხსნა საზოგადო მოღვაწეობის თათბირი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რიაბუშინსკის, რომელმაც ამ ყრილობას უწოდა მოსკოვში სრულიად რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის წინამორბედი. მისალმებითი დეპეშები გაუგზავნეს კოლჩაკს და დენიკინს. სასურსათო მოხსენებაში გაცხადებული იყო, რომ პური ისეთი სურსათია, რომლის გაზიდვა შეიძლება და რომ მხოლოდ პურის გაზიდვით შეიძლება უცხოეთის საქონლის მიღება. კრებამ პურის გაზიდვის აუცილებლობა აღიარა:

ნაუენი, ნოემბრის 1. კილიდან მოსული ცნობის თანახმად, რეინზე ელზას-ლორენის 8360 მცხოვრებლებმა მიიღეს მილიერანის ბრძანება, ექვსი კვირის განმავლობაში დასტოვონ თავისი სამშობლო. აღნიშნული ბრძანება, ელზასიდან გერმანელების გადასახლების შესახებ უკვე მესამეა ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ.

ნაუენი, ნოემბრის 1. ვენაში პარასკევს ავსტრიის სოც. დემოკრატიული ყრილობა გაიხსნება.

ნაუენი. ნოემბ. 3. „ბერლინერ ტაგებლატ ცენტურგი", მოითხოვს ბალტიის მხარის დაუყონებლივ დაცლას და დასავლეთ-რუსეთის მთავრობის მიერ პირდაპირ არა პირდაპირ მხარის დაჭერის დაუყონებლივ თავიდან აცილებას. რუსეთი პოლიტიკურად ხელოლოდ თავისივე ძალებით შეიძლება გამომთელდეს, დენიკინის და კოლჩაკის მხრივ დაჭერა კი ავანტიურას წარმოადგენს, რომლის შედეგიც ბალშევიკების დიქტატურის მაგიერ სისხლის მღვრელი თვითმყრობელობის ანარქია იქნება.

პეტერბურგი, ნოემბ. 3. ჩვენმა ჯარმა ილინო, სკული და ზოლოტავო აიღო.

ნაუენი, ნოემბ. 2. ჩრდილო ამერიკაში მუშების გაფიცვები დაიწყო. გაიფიცა 500,000 მუშა.

სარატოვი, ნოემბრ. 2. ვოლგის ორივე ნაპრებზე ხმალინსკ-კამიშინის რაიონში პურის მოსავალმა იმედებს გადააჭარბა. უკვე მოგროვილია 6 მილიონ ფუთზე მეტი პური. ამის მიზეზია გლეხების სულიერი გადატრიალება საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ და პიტერის და მოსკოვის მუშების ადგილობრივ ენერგიული მუშაობა.

სხვა და სხვა.

◆ ტფილისის ქ. თვითმმართველობის სასურსათო გაყოფილება აძლევს საპონს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს, სულზე 3 გირვ. უბარათოთ, შემოწმებულ სიით, 11 მან. გირვ. რადგან. საპონი ცოტაა დაკმაყოფილებული იქნებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ადრე წარმოადგენენ სიას.

◆ 31 ოქტომბერს სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. გ. აფხაზი წარუდგა მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ჟორდანიას და ქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზობადოება ბეჭდავს და მოკლე დროში გასაყიდათ გამოვა შემდეგი წიგნები, რომელნიც ბაზარზე აღარ მოიპოვება: 1) „კაცია ადამიანი?"-ი. ჭავჭავაძისა, 2) მისივე „გლეხის ნაამბობი" 3) „ს. მეჯღანუაშვილი" არდაზიანისა 4) შ. არაგვისპირელის მოთხრობები—1 წიგნი. 5) მისივე II წიგნი, 6) მისივე IV წიგნი. 7) „ინგლისის მოკლე ისტორია", ახლად შედგენილი გ. ნათაძის მიერ.

◆ რუსულ ნაციონალურ საბჭოში შემდეგი შინაარსის გაცხადებებაა გამოკიდებული 1 ნოემბრიდან. ტფილისის გაზ. „სლოვო"-ში 31 ოქტ. იყო ცნობა, რომ პური და სადილი, რომელიც ამერიკულ უფასო სასადილოში იძლევიან, ყოველთვის დამაკმაყოფილებელი ხარისხის არ არის, და იმ პირთ, რომელნიც წინეთ ეცადნენ მიეთითებიათ ამ დეფიკტებზე, აღარ მისცენ სადილი. ამის გამო ამიერ-კავკასიის რუსულ ნაციონალურ საბჭოს გამგეობა, სამართლის გამორკვევის მიზნით თხოვს იმ პირთ, რომელთა რაიმე საჩივარი აქვთ საჭმელის ან წენრიგის შესახებ, მოახსენოს ნაციონალურ საბჭოს მოივანს. გამგეობა გარანტიას იძლევა საიდუმლოთ შეინახოს მომჩივანთა გვარი. მდივანი მიიღებს განკხადებებს ყოველ ღღე 9-3 სათ. ამიერკავკასიის რუსულ საბჭოში.

◆ სამთავრობო დაწესებულებათა განკარგულებით 24 ოქტომბრიდან დაიტვირთა შეშით სად. ჭალადიდში 39 ვაგ., სადგ. ნატანებსა და სუფსის შუა 70 ვაგ. და სხვ. სადგ. კერძო პირთა სახელზე 40 ვაგ. შავი ზღვის რკინის გზის ახალი სადგ. ხეთა ტვირთავს 15 ვაგონს.

◆ 2 ნოემბერს ღამის 10 საათზე მიხეილის ქუჩაზე სავაჭროს № 101 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე ჩაქრეს.

◆ 2 ნოემბერს ამაღლების ქუჩ. მცხოვრებ სომხის არქიმანდრიტს ესვანდს 19,000 მანეთათ ღირებული საოჯახო ნივთები მოპარეს.

◆ 1 ნოემბერს გორის ქუჩაზე მცხოვრებმა ვ. პეტროვმა რევოლვერით თავი მოიკლა.

◆ 1 ნოემბერს სასახლის გარაჟის ავტომობილმა № 3 რუსთაველის პრ. და ერმალოვის კუთხეშიგ ასრისა უცნობი ქალი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

განცხადებანი

მთავარი საბაჟო

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ 23 ნოემბერს 1919 წ. დილის ათ საათზე მთავარ საბაჟოს შენობაში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბაჟოს მიერ ჩამორთმეული სახელდობრ: თუთუნი, პაპიროსები სხვა და სხვა ქარხნისა, საპონი, მანუფაქტურა, წყმწყმა, მომპასიე, შაქარი, ფხვნილი და რაფინადი, ლიკიორი, ძაფი, მოცვის ჩაი, ყავა ლურსმანი და სხვა. 3—1 73

ნიკოლოზ პეტრეს ძე კურრეტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

38 3—2

ნ. არშაკ მიხეილის ძე არზუმანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული მისთვის ბოგდან რომანის ძე არზუმანოვის მიერ გამოცხადებული ტფილისას ნოტარიუს ა. ი. კარაკაშის კანტორაში 18 თებერვალს 1919 წ. რეესტრით № 561, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1919 წ. 3 ნოემბერს

53 3-2

ბარბარე ივანეს ასული ხუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიცემული მის ქმარზე იოსებ ლუარსაბის ძე ხუბაშვილზე ტფილ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1913 წ. აპრილის 10-ს, რეესტრი № 1036.

18 3—2

ქ. ტფილისის მე-5 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე ამა წლის 15 სექტემბრის დადგენილების თანახმათ, იწვევს 1899 წ. ივნისის 15-ს გარდაცვალებულის ტფილისის მოქალაქის აკოპ კარაპეტისძე აკოპიანცის იგივე კარაპეტიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება აკოპიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 18 სექტემბრიდან. 1379 1—1

ქ. ტფილისის მე 7 უბ. ბოქაული სვიატოდუხოვი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 21 დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის მოძრავ ქონებაზე, რომელიც სპარსულ ხალიჩას ზომით 6-5 არ., შეფასებული 1000 მ. ვაჭრობა მოხდება ქ. ტფილისის მე-10 უბანში, კრილოვის ქ., № 10. 41 1—1

ივანე იაკოფის ძე ქიტიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და სოც. რევოლიუც. პარტიის საწევრო წიგნაკი. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

დაკარგულია უვადო პასპორტი მიღებული ფერგანიის მაზრაში (ციმბირში). მაზრის უფროსისგან № 258. ივანე ალექსანდრეს ძე ლომსაძის სახელზე მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს მივცემ ჯილდოს. ჩემი მისამართი: გაბაანთ შესახვევი № 5. წინაალმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვლება.

32 3—3

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან თანახმად რაფაელ ელოს ძე ციციაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი რომელიც მას ჰქონია მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან და წლოვანობის მეტრიკა, მიცემული ქალაქის თვითმართველობისგან, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 53 3—3

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ნიკოლოზ მდივნის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც მას ჰქონია მიღებული 25 თებერვალს 1919 წ. სთხოვს მნახველებს აღნიშნული მოწმობისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ, ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ.

ნიკოლოზ სულხანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 20 3—2

გიორგი სარიდონის ძე მაკარაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 33—3—8

ისაკ ტერ-ანტონოვი აცხადებ, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, სამხედრო სამს. განთავისუფლების მიღებული ტფილისის სამხედრო საკრებულოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 47 3—2

ქართული აქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძი“ ს გამგეობა ამით აცხადებს, წესდების §9 ძალით, რომ მის მიერ 1918 წლის 7 ივნისის თარიღით ბესარიონ (კოწია) დათეშიძეზე გაცემული დროებითი კვიტანცია № 49 (წიგნი № 2) ვადაში კვიტანციის პატრონზე დარჩენილი ფულების შემოუტანებლობის გამო გაუქმებულად ითვლება კანონიერი შედეგებით.

35 3—5

ლევანი სამსონის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან მიცემული. 48 3—2

ბარბარე ივანეს ასული ხუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1913 წ. აპრილის 10 № 1036 იოსებ ლუარსაბის ძე ხუბაშვილის მამულზე, მდებარე ქ. ტფილისის 11 უბანში. 18 3—1

პოლკ. ვაშაკიძე აცხადებ, რომ მან დაჰკარგა ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრობის წიგნაკი № 5398, ჩაითვალოს გაუქმებულად. მპოვნელს სთხოვენ გადასცენ ხსენებულ საზოგადოებას. 45 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი მიცემული ხაბაროვსკის პოლიციიდან 1914 წელს სექტემბრის 30, № 4000, იაკობ სტეფახეს ძე თევდორაძის სახელობაზე, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 57 3—1

ალექსი სტეფანეს ძე დვალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ტფილისის ქალაქის სამართველოდან 1905 წ., რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 58 3—1

გრიგოლ ილიას ძე მორაზიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სტუდენტის მოწმობა № 517 და მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალიდან № 2987. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 52 3—1

როსტომ ივანეს ძე ფიცხელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამართველოდან № 17287. გაუქმებულად ჩაითვლება. 56 3—1

სოლომონ გიორგის ძე მედულაშვილი აცხადებს, რომ ყოფილმა სახლის პატრონმა ტერმხითაროვმა ლაზარევის ქ. № 10. დაჰკარგა სახლის დავთარი. 5 3—1

ნოე ივანეს ძე ქობალავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წასულ 9 სექტემბერს მოწმობა, მიცემული სენაკის მაზრის საბჭოდრო უფროსისაგან ომში ჭრილობისათვის ბოძებული მეოთხე ხარისხის ჯვარის ტარებისა, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 75 3—1

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 80709, 65 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვლება. 59 3—1

მიხეილ პეტროსიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და საფულე 500 მანეთით. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება.

61 3—1

საგარეჯოს მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ზაქარია იაკობის ძე ნუკრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება დასახელებულ ზაქარია ნუკრაძის ქონებაზე, სამოქალაქო კანონის 1231 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 60 1—1

ალი მურად ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტაგო რუხის სოფლის სამართვ. (ერევ. გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.

22 3—2

დაკარგულია ქ. ნოვოროსიისკის პოლიციის სამმართველოდან, აღებული პასპორტი № 286 სამსონ დავითის ძე ბახტაძის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

36 3—3

მიხრან არტემის ძე კარაბ ოღლი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 10552, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

37 3—3

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ოქტომბრის 24 ს იქ შეიტანა თხოვნა არსენ რომანის ძე ჩორნიმ, მცხოვრებმა ქ. ტფილისში, მის ცოლთან, ევდომია მაქსიმეს ასულ ჩორნისთან განქორწინების შესახებ ისინი ჯვარდაწყრილი არიან ნავთლუღში წმინდა ბარბარეს ეკლესიაში 1908 წ. ნოემბრის 2 ს. მთხოვნელის არსენ რომანის ძე ჩორნის განცხადებით ევდ. მაქსიმეს ასული ჩორნია არა ჩანს 1915 წ. ქ. ტფილისიდან. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ევდ. ჩორნიასა, ვალდებულია დაუყონებლივ განუცხადოს სინოდალურ კანტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1—1 55

ქ. ტფილისის მე-20 სამომრიგებლო უბ. მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივანე ნიკიტის ძე გოლუბკოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გოლუბკოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღ ნიშნულ ვადაში.

ალექსანდრე მიხეილის ძე ...ბაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სოფ. ბარავარძის მოწმეოდან (ოკეა) სპირიდონ ივანეს ძე ...ბაშვილის ხელზე გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1502 3—1

ქ. ტფილისის I სამომრ. უბ. ბოქაული გ. გ. ბარუტჩევი აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 13-ს, დილის 10 საათზე, ოლოს ქ., № 29 ს ბელინსკის ქ. პირდაპირ, საჯაროთ გაიყიდება დიმიტრი კოვალიოვსკის მოძრავი ქონება, რომელიც შეიცავს 180 გირ. კაკაოს, შეფასებულს 20.000 მ. ქონება იყიდება ვასილ ნახუცროვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ, სულ 21444 მან. 63 1—1

ქ. ტფილისის მე-3 სამომრიგებლო უბნის ბოქაული ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ. 1919 წ. ნოემბრის 14-ს, დილის 10 საათზე, „ჟუკიის კოოპერატივის“ ბინაზე, ჩერქეზიშვ. ქ., № 38, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამ კოოპერატივის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს დგამს და სხვ. ნივთებს, შეფასებულს 825 მან. ქონება აწერილია დიონის წერეთლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ ალმ. ფურცლით № 19384 სულ 6967 მ. 14 კ.

54 1—1

სალიტერატურო, სამეცნიერო, საპოლიტიკო და საკოოპერაციო

ჟურნალი „ფვიდი მნათობი“

№ 2.

გამოცემა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, ფასი 75 მან. საწყობი მოთავსებულია გლდანის შესახვევი, საკუთარ სახლში № 15. მოიკითხეთ ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში. 62 1—1

ტფილისის საპყრობილეთა ინსპექცია

იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზე მოაწოდონ ტფილისის საპყრობილეებს საჭიროებისათვის ყოველთვიურად დაახლოებით შემდეგი სანოვაგე: 200 ფუთი კარტოფილი, 35 ფუთი ხახვ, 45 ფუთი ნიორი, 50 ფუთი მარილი, 20 ფუთი წვანილი, 20 ფუთი სამარხვო ზეთი, 70 ვედრა რძე, 300 ფუთი ლობიო, 60 ფუთი კომბოსტო, 10 ფუთი ქარხალი. 25 ფუთი ბრინჯი, 80 ფუთი ჭერი, 80 ფუთი ბზე, 70 ფუთი თივა და ერთ დროულად 300 ფუთი ჩალა მატრაცების გასატენად, ამის შესახებ მსურველებმა უნდა შემოიტანონ საპყრობილეთა ინსპექციაში ნოემბრის 10 მდე ყოველ დღე 9—12 საათამდე წერილობით განცხადება აღნიშნვით ფასებისა ყველა ზემო ნაჩვენებ საზოვაგეებზე საპყრობილეებში მიტანით (1/3 უნდა იქნას მიტანილი მეტეხის საპყრობილეში და 2/3—ორთაჭალაში, ტფილისის № 1 საპყრობილეში) მსურველნი უნდა გამოცხადდენ ათ ნოემბერს დღის 12 საათზე მეტოქეობაში მონაწილეობის მისაღებათ ინსპექციაში, უნდა იქონიონ თან 10% ღირებული ფასებისა. 78 3—1

საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველო საზოგადოთ აცხადებს:

I

რადგან ჯერ-ჯერობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მოქმედებს რუსეთის სამთო წესდება (მე VII ტომი კანონთა კრებულისა), რომელთა განმარტებით სენატმა 1912 წლის № 96 და 1913 წლის № 28 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მიწის გულზედ (მადნეულობაზედ) უფლებათა გადაცემისთვის საჭიროა ორი პირობის შესრულება: ერთი—ნოტარიულ აქტის შედგენა და მეორე ამ აქტის აღნიშვნა (რეგისტრაცია) სამთო სამმართველოში, და რადგან აქტების ა ეთი რეგისტრაცია დღევანდლამდინ არა სწარმოებდა, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველო ამით აუწყებს ყველა იმ პირთა, ამხანაგობათა და საზოგადოებათა გამოუნაკლისად უცხოელთა და უცხოელ ამხანაგობათა და საზოგადოებათა, რომელთაც მოპოვებული აქვთ ესა თუ ის უფლება მიწის გულის დამუშავებისა, რომ ყველა ესენი ვალდებულნი არიან დღიდგან ამა განცხადების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვისა, ორი თვის ვადაზედ წარმოადგინონ სარეგისტრაციოდ სამთო სამმართველოში ყველა ხელშეკრულებანი, ან სხვა აქტები, რომელთა ძალით მათ მოუპოვებიათ უფლებანი მადნეულობის დამუშავებისა, როგორადაც სახელმწიფო, აგრეედვე კერძო პირთა კუთვნილ მიწებისა.

II

იმავე ორი თვის ვადაზე წარმოდგენილ უნდა იქნან სამთო-სამმართველოში მოწმობანი მადნეულობის გამოსაკვლევად მიცემულ ნებართვისა და აქტები მათთვის გამოყოფილ სახელმწიფო მიწიდან ნაკრებისა ამ მადნების დასამუშავებლად და აგრეთვე ის ნებართვანი, რომელნიც სამთო-სამმართველოს გაუცია მრეწველთათვის მათი საკუთარი მიწის გულის დასამუშავებლად. **შენიშვნა:** ზემოდ აღნიშნული დოკუმენტები და პლანები წარმოდგენილ უნდა იქნენ თავიანთი ასლებით. 15 2—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა.

ამით აცხადებს საქმოველთათვოდ, რომ ა/წ 16 ნოემბერს დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ბაგეჟი: ზესტაფონიდან—ტფილისი, რიგ. № 598—სატვ. ბარ. № 272749—1 ც. წონ.—3 ფ. 10 გ. ჭიათურიდან—ტფილისი, რიგ. № 594. სატ. ბარ. № 289715—1—25 გ. აბაშიდან—ხაშური, რიგ. № 595 სატვ. ბარ. № 36725 2 ც.—4 ფ. 14 გ. ხაშურიდან—ტფილისი რიგ. № 597—სატვ. ბარ №92763 1 ც.--9 ფ. ფოთიდან—ტფილისი, რიგი № 588, სატვ. ბარ. № 59380, 1 ც. 1 გ., ფოთიდან—ტფილისი, რიგი № 587 სატვ. ბარ. № 59379, 1 ც. 2 გ., ფოთიდან—ტფილისი, რიგი № № 586, 585-584 და 589, სატვ. ბარ. № 59378, 1 ც. 1 გ. 59377, 1 .ც 4 გ. 59381, 1 ც. 4 გ. 59382, 1 ც. 2 გ. ჭიათურიდან—ტფილისი, რიგი № 591, სატვ. ბარ. № 289997, 1 ც. 3 ფ. 15 გ., სანაინი, რიგი № 587, სატვ. ბარ. № 50117, 1 ც. 4 ფ. ქუთაისიდან—სანაინი, რიგი № 570, სატვ. ბარ. № 61788, 1 ც. 35 გირ., აჯამეთიდან—სანაინი, რიგი № 569, სატვ. ბარ. № 106577, 1 ც. 1 ფ. 10 გ., ქარელიდან—სანაინი, რიგი № 572, სატვ. ბარ. № 15961, 1 ც 3 ფ. 8 გ. 67 3—3